საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური აღმოჩენილი ანგარიში



მიმართულება 3: ანგარიშვალდებულება

2020 წლის მეორე ნახევარი

2021 წელი

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ალტერნატიული ანგარიში

2020 წლის მეორე ნახევარი

მიმართულება 3: ანგარიშვალდებულება

დოკუმენტი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები 6

1. შესავალი 8

2. მეთოდოლოგია 11

3. ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მონიტორინგი 13

3.1. ამოცანის შესრულების შედეგები 15

3.2. ამოცანის შესრულების შედეგები 18

3.2. ამოცანის აქტივობის შესრულების შედეგები 20

3.3. ამოცანის შესრულების შედეგები 21

3.3. ამოცანის აქტივობების შესრულების შედეგები 22

3.4. ამოცანის შესრულების შედეგები 24

3.4. ამოცანის აქტივობის შესრულების შედეგები 26

3.5. ამოცანის შესრულების შედეგები 27

3.5. ამოცანის აქტივობის შესრულების შედეგები 28

5. შეჯამება და რეკომენდაციები 29

ძირითადი მიგნებები

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019 – 2020 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშვალდებულების მიმართულებით მოცემული ამოცანები და ინდიკატორები საჭიროებს დახვეწას S.M.A.R.T. კრიტერიუმების შესაბამისად. გარდა ამისა, ამოცანების რეალურად მისაღწევად აუცილებელია მეტი აქტივობის განსაზღვრა და მათი შესრულებისთვის რეალური ძალისხმევის გაწევა.

სამოქმედო გეგმით ანგარიშვალდებულების მიმართულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მაჩვენებელი სამოქმედო გეგმის დასასრულს ფაქტურად 2020 წლის პირველი ნახევრის მონიტორინგის შედეგების იდენტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისთვის დასახული ამოცანების შესასრულებლად მათი ინდიკატორების მიხედვით ფაქტობრივად არაფერი გაკეთებულა.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ხუთი ამოცანიდან საანგარიშო პერიოდში სამი ნაწილობრივ შესრულებულია, ორი კი - შეუსრულებელი. ამოცანებისთვის განსაზღვრული ექვსი ინდიკატორიდან (მათ შორის, ერთი დამატებითი ინდიკატორი) ერთი სრულად შესრულებულია, ერთი - ნაწილობრივ, ოთხი - შეუსრულებელი.

რაც შეეხება აქტივობებს, 2020 წლის მეორე ნახევარში განსაზღვრული იყო ექვსი აქტივობა, რომელთაგან ორი ნაწილობრივ შესრულდა, ოთხი კი არ შესრულდა. აქტივობის შედეგის ცხრა ინდიკატორიდან სამი ნაწილობრივ შესრულდა, ექვსი კი არ შესრულდა.

1. შესავალი

საქართველოს ხელისუფლებამ საჯარო მმართველობის რეფორმირების მნიშვნელობა აღიარა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან ერთად, რომელიც ხაზს უსვამს კარგი მმართველობის, მათ შორის, სახელმწიფო მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმის მიმართულებით თანამშრომლობის ვალდებულებას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით.[1] აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020. დოკუმენტი მიზნად ისახავს ყოვლისმომცველი კონცეპტუალური ჩარჩოსა და მექანიზმების შექმნას 2020 წლამდე, "რომელიც მიმართული იქნება გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, პასუხისმგებელი და ეფექტური სახელმწიფო მართვისკენ, დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს და იქნება ევროპულ სტანდარტებთან მისადაგებული".[2]

საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებისთვის საქართველოს მთავრობა ორ წელიწადში ერთხელ ამტკიცებს საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმას. ბოლო, 2019 – 2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მთავრობამ 2019 წლის ივნისში დაამტკიცა, მიზნად ისახავს საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ით დადგენილი მიზნების განხორციელებას.

საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი და, შესაბამისად, სამოქმედო გეგმა ექვს მიმართულებას ეხება: პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია, საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულება, სახელმწიფო სერვისების მიწოდება, საჯარო ფინანსების მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა. წინამდებარე დოკუმენტი ეხება სამოქმედო გეგმის მესამე მიმართულებას - ანგარიშვალდებულებას და ამ მიმართულებაში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების 2020 წლის მეორე ექვსი თვის შედეგებს.

ნებისმიერი პოლიტიკის წარმატებულად განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია პოლიტიკის დოკუმენტის შესრულების მონიტორინგი, მიმდინარე ხარვეზებისა თუ გამოწვევების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირების გზების დასახვა. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, მთავრობის ადმინისტრაციამ დაიწყო საჯარო მმართველობის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და 2019 წელს

[1] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება", მუხლი 4.

[2] საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020, გვ. 6.

პირველად იქნა მონიტორინგის შედეგები საჯაროდ წარდგენილი. წინამდებარე დოკუმენტი კი წარმოადგენს მონიტორინგის ალტერნატიულ ანგარიშს და, განსხვავებული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, შესაძლოა, სრულ თანხვედრაში არ მოდიოდეს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ მონიტორინგის შედეგებთან.

2. მეთოდოლოგია

მონიტორინგის საგანს წარმოადგენდა საჯარო მმართველობის რეფორმის 2019 – 2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების პროგრესის შეფასება 2020 წლის ბოლო ექვსი თვის მდგომარეობით.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებას მიენიჭა ოთხიდან ერთი სტატუსი:

1. **სრულად შესრულებული** - აქტივობა/ამოცანა სრულად შესრულდა ან თითქმის სრულად შესრულდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შესასრულებელი.
2. **მეტწილად შესრულებული** - აქტივობის/ამოცანის ძირითადი ნაწილი შესრულდა, თუმცა, გარკვეული ნაწილი ისევ შესასრულებელია.
3. **ნაწილობრივ შესრულებული** - აქტივობის/ამოცანის გარკვეული ნაწილია შესრულებული და ძირითადი ნაწილი არ შესრულებულა.
4. **შეუსრულებელი** - აქტივობა/ამოცანა საერთოდ არ შესრულებულა ან მისი იმდენად უმნიშვნელო ნაწილი შესრულდა, რომ პროგრესის დაფიქსირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

მონიტორინგი დაეყრდნო საჯარო ინფორმაციას - მონიტორინგის განხორციელებისას ინფორმაციის მიღების პირველწყაროს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებები. ამიტომ, მონიტორინგის დასაწყისში ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა მთავრობის ადმინისტრაციიდან თითოეული ამოცანისა და საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. მონიტორინგის ანგარიშის სამუშაო ვერსია მოსაზრებებისთვის წარედგინა პასუხისმგებელ უწყებებს და შეძლებისდაგვარად მოხდა მათი პოზიციის გათვალისწინება დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.

ანგარიშვალდებულების მიმართულების მონიტორინგის პროცესში IDFI-სთან ერთად ჩართული იყვნენ ა(ა)იპ სამოქალაქო განვითარების ახალგაზრდული ცენტრი და რეგიონალური ინიციატივების ცენტრი "ნათელი მომავალი", რომლებმაც რელევანტური ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი განახორციელეს შესაბამისად ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონში.

3. ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მონიტორინგი

საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის მესამე მიმართულებას წარმოადგენს ანგარიშვალდებულება, რომელიც ხუთ ამოცანას ითვალისწინებს. თითოეული ამოცანის შესრულება ფასდება მისთვის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცანის ინდიკატორი ვერ აკმაყოფილებს S.M.A.R.T. კრიტერიუმებს,[3] რის გამოც, ამოცანის შესრულების შეფასება შეუძლებელია, განსაზღვრულია დამატებითი ინდიკატორები. ის ამოცანები, რომელთა შესრულებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელ უწყებას არ წარმოუდგენია რაიმე ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა ამოცანის შესრულების პროგრესს, შეუსრულებლად იქნა მიჩნეული.

სამოქმედო გეგმით ანგარიშვალდებულების მიმართულებით გათვალისწინებული ხუთი ამოცანიდან სამი ნაწილობრივ შესრულებულია, ორი კი - შეუსრულებელი. ამოცანებისთვის განსაზღვრული ექვსი ინდიკატორიდან (მათ შორის, ერთი დამატებითი ინდიკატორი) ერთი სრულად შესრულებულია, ერთი - ნაწილობრივ, ხუთი - შეუსრულებელი.



[3] S.M.A.R.T.: S - specific, significant, stretching; M - measurable, meaningful, motivational; A - agreed upon, attainable, achievable, acceptable, action-oriented; R - realistic, relevant, reasonable, rewarding, results-oriented; T - time-based, time-bound, timely, tangible, trackable. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.projectsmart.co.uk/smart-goals.php.

რაც შეეხება აქტივობებს, 2020 წლის მეორე ნახევარში განსაზღვრული იყო ექვსი აქტივობა, რომელთაგან ორი ნაწილობრივ შესრულდა, ოთხი კი არ შესრულდა. აქტივობის შედეგის ცხრა ინდიკატორიდან სამი ნაწილობრივ შესრულდა, ექვსი კი არ შესრულდა.





3.1. ამოცანის შესრულების შედეგები

სამოქმედო გეგმის 3.1 ამოცანა გულისხმობს ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზებას, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში. ამოცანისთვის განსაზღვრულ ინდიკატორს კი წარმოადგენს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში მყოფი საჯარო სამართლის იმ იურიდიული პირების წილი, რომლებმაც შეასრულეს საჯარო სამსახურის ბიუროს (ბიურო) მიერ გაცემული რეკომენდაციები სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით.

ამოცანა 3.1. ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში

ამოცანის ინდიკატორ(ებ)ი: საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების წილი, რომლებმაც შეასრულეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციები სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით

საბაზისო 2018: 0%

სამიზნე 2020: 10%

ამოცანის შესრულების სტატუსი: შეუსრულებელი

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ 2019 წლის ალტერნატიული ანგარიშისთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება დაგეგმილი იყო 2020 წლის მეოთხე კვარტალში მას შემდეგ, რაც დამტკიცდებოდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი. 2021 წლის დასაწყისში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით კი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის პროცესი კვლავ მიმდინარეობს. საკანონმდებლო ცვლილებები ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა და არ შემუშავებულა რეკომენდაციები მათ ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით, რაც ბიუროს დაგეგმილი აქვს მეორადი ფუნქციური ანალიზის განხორციელების შემდეგ.

საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა ამოცანის შესრულების სამიზნედ 2020 წელს ითვალისწინებს, ამიტომ პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ამოცანის ინდიკატორით გათვალისწინებული ღონისძიებები 2020 წლის შემდგომ უნდა განხორციელდეს, იმაზე მიუთითებს, რომ 2020 წლის ბოლოსთვის ამოცანის შედეგი მიღწეული არ არის. ამავდროულად, 2020 წლის მეორე ნახევარში აღნიშნული ამოცანის ქვეშ განსაზღვრული აქტივობა და მისი სამი ინდიკატორი შეუსრულებელია. შესაბამისად **3.1 ამოცანა შეუსრულებლად უნდა ჩაითვალოს.**

3.1. ამოცანის აქტივობის შესრულების შედეგები

საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის 3.1 ამოცანისთვის საანგარიშო პერიოდში ერთი აქტივობაა გათვალისწინებული, რომლის შესაფასებლად სამი ინდიკატორია განსაზღვრული. ინდიკატორების მიხედვით აქტივობა არ შესრულდა.

აქტივობა 3.1.3.

სამოქმედო გეგმის 3.1.3 აქტივობა გულისხმობდა საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციური ანალიზის განხორციელებას. სამოქმედო გეგმით აქტივობისთვის განსაზღვრული შედეგის ინდიკატორების მიხედვით აქტივობა შეუსრულებელია.

აქტივობა 3.1.3. საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციური ანალიზი

აქტივობის შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:

3.1.3.1. საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციური ანალიზი განხორციელებულია

3.1.3.2. საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები შემუშავებულია

3.1.3.3. საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ებთან სსიპ-ების ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები განხილულია; ჩატარებულია სულ მცირე 3 საჯარო განხილვა

აქტივობის შესრულების სტატუსი: შეუსრულებელი

პირველ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც სსიპ-ების ინსტიტუციური ანალიზის განხორციელებას გულისხმობს, საჯარო სამსახურის ბიურო მიუთითებს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების ამოქმედებამდე დაგეგმილია სსიპ-ების მეორადი ინსტიტუციური ანალიზის განხორციელება შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის შინაარსიც დაფუძნებული იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირების ახალი კატეგორიების კანონისმიერ განმარტებებზე. რამდენადაც ჯერ საკანონმდებლო ცვლილებები არ ამოქმედებულა და შესაბამისად, არ განხორციელებულა მეორადი ინსტიტუციური ანალიზი, აღნიშნული ინდიკატორი შესრულებული არ არის.

მეორე ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავებას გულისხმობს, როგორც ზევით აღინიშნა, ბიურო ელოდება საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებას, შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორიც შეუსრულებელია.

მესამე ინდიკატორი სსიპ-ების ანალიზის შედეგების და რეკომენდაციების საჯარო განხილვებს ითვალისწინებს, რაც, რა თქმა უნდა, შეუსრულებელია, რადგან ჯერ არც ანალიზი განხორციელებულა და არც რეკომენდაციებია შემუშავებული.

როგორც საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, აქტივობისთვის განსაზღვრული სამი ინდიკატორიდან ყველა შეუსრულებელია, შესაბამისად **3.1.3 აქტივობა შეუსრულებლად უნდა ჩაითვალოს.**

3.2. ამოცანის შესრულების შედეგები

სამოქმედო გეგმის 3.2 ამოცანა გულისხმობს ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ამოცანისთვის განსაზღვრულ ინდიკატორს კი წარმოადგენს data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა.

ამოცანა 3.2. ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მექანიზმის გაძლიერების მეშვეობით

ამოცანის ინდიკატორ(ებ)ი: data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა

საბაზისო 2018: 3

სამიზნე 2020: 30

ამოცანის დამატებითი ინდიკატორი: იმ საჯარო უწყებების რაოდენობა, რომლებიც data.gov.ge-ზე ღია მონაცემებს აქვეყნებენ

საბაზისო 2018: 30

სამიზნე 2020: 50

ამოცანის შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2020 წლის ბოლოსთვის ღია მონაცემების პორტალზე 30 საჯარო უწყების მიერ გამოქვეყნებულია 719 მონაცემთა ცხრილი XML და CSV ფორმატში.

პირველ ინდიკატორთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ღია პორტალზე განთავსებული მონაცემების რაოდენობა აღემატება 2020 წლისთვის გათვალისწინებულ

სამიზნე მაჩვენებელს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორის მიხედვით, ამოცანა მიღწეულია. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მონაცემი იგივე იყო 2020 წლის პირველ ნახევარშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ღია მონაცემთა პორტალზე დამატებითი ინფორმაცია არ განთავსებულა. აღნიშნული ერთი მხრივ, სამოქმედო გეგმის ხარვეზზე და უფრო ამბიციური მაჩვენებლების განსაზღვრის საჭიროებაზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი - საჯარო უწყებების დამოკიდებულებაზე, რომლებიც არ აქტიურობენ ღია მონაცემების გამოქვეყნების თვალსაზრისით. როგორც თავად ციფრული მმართველობის სააგენტო აღნიშნავს, რამდენადაც ღია მონაცემთა განთავსება არ არის განპირობებული საკანონმდებლო ვალდებულებით, უწყებები ხშირად ნებაყოფლობით არ ათავსებენ ღია მონაცემებს პორტალზე. ამასთან, პორტალი ტექნიკურად და სისტემურად მოძველებულია და განახლებას საჭიროებს, რაზეც სააგენტო UNDP-ის მხარდაჭერით მუშაობს.

IDFI-ს მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ სამოქმედო გეგმით 3.2 ამოცანისთვის გათვალისწინებული ინდიკატორი არ აკმაყოფილებს S.M.A.R.T. კრიტერიუმებს, კერძოდ, ის არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი და ვერ ზომავს ამოცანის მიღწევას, რადგან ორი წლის განმავლობაში მიზნად ისახავს მხოლოდ 27 ახალი მონაცემის გამოქვეყნებას https://data.gov.ge-ზე. შესაბამისად, მონიტორინგის მიზნებისთვის 3.2 ამოცანის დამატებით ინდიკატორად განისაზღვრა იმ საჯარო უწყებების რაოდენობა, რომლებიც ღია მონაცემთა პორტალზე ღია მონაცემებს აქვეყნებენ. სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მიხედვით იმ საჯარო დაწესებულებათა რაოდენობა, რომლებიც მათ ხელთ არსებულ ღია მონაცემებს აქვეყნებენ, 2020 წლის ბოლოსთვის 30-ს შეადგენს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ კუთხით საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება არ მომხდარა - პორტალზე 2018 წელსაც 30 უწყებას ჰქონდა გამოქვეყნებული ღია მონაცემები. შესაბამისად, ეს ინდიკატორი შეუსრულებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.2 ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

3.2. ამოცანის აქტივობის შესრულების შედეგები

საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის 3.2 ამოცანისთვის საანგარიშო პერიოდში ერთი აქტივობაა გათვალისწინებული, რომლის შესაფასებლად ერთი ინდიკატორია განსაზღვრული. ინდიკატორის მიხედვით აქტივობა არ შესრულდა.

აქტივობა 3.2.2.

სამოქმედო გეგმის 3.2.2 აქტივობა გულისხმობდა ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობის ზრდას. სამოქმედო გეგმით აქტივობისთვის განსაზღვრული შედეგის ინდიკატორების მიხედვით აქტივობა შეუსრულებელია.

აქტივობა 3.2.2. ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობის ზრდა

აქტივობის შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:

2020 წლის ბოლოსთვის data.gov.ge-ზე მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (0), საჯარო სამსახურის ბიუროსა (0) და ფინანსთა სამინისტროს (3) მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა 1000%-ით გაზრდილია 2018 წლის მონაცემებთან შედარებით.

აქტივობის შესრულების სტატუსი: შეუსრულებელი

სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2020 წლის ბოლოსთვის data.gov.ge-ზე ხელმისაწვდომი იყო ფინანსთა სამინისტროს (სსიპ შემოსავლების სამსახურის) ოთხი ღია მონაცემი. პასუხისმგებელი უწყება მიუთითებს, რომ სააგენტოს ყურადღება მობილიზებული იყო ღია მონაცემების ახალი პორტალის შექმნაზე, რაც ვერ მოხერხდა გამოცხადებული ტენდერების ჩაშლის გამო.

როგორც თავად პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, საანგარიშო პერიოდში აქტივობის შესრულების მიზნით ძალისხმევა არ გაწეულა, რადგან გადაწყვეტილი იყო ახალი პორტალის შემუშავება. აღნიშნულის გამო, ინდიკატორით გათვალისწინებული სამი უწყებიდან არცერთი უწყების ღია მონაცემების რაოდენობა არ არის გაზრდილი შედეგის ინდიკატორში მითითებული რაოდენობით. შესაბამისად **3.2.2 აქტივობა შეუსრულებლად უნდა ჩაითვალოს.**

3.3. ამოცანის შესრულების შედეგები

სამოქმედო გეგმის 3.3 ამოცანა გულისხმობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბებას რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით. ამოცანისთვის განსაზღვრულ ინდიკატორს კი წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული "რეაგირების გარეშე" სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი.

ამოცანა 3.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბება რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით

ამოცანის ინდიკატორ(ებ)ი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული, "რეაგირების გარეშე" სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი

საბაზისო 2018: 12%

სამიზნე 2020: 8%

ამოცანის შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2020 წლის პირველი ნახევრის მონიტორინგის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით დასრულებული იყო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის შემუშავება და მიმდინარეობდა ტესტირების პროცესი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანახმად მათ მიერ გაცემული „რეაგირების გარეშე“ სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი გაიზომებოდა 2020 წლის ბოლოსთვის. 2020 წლის ბოლოს უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით აღნიშნული ინდიკატორის დათვლა და წარმოდგენა მოხდება 2020 წლის საქმიანობის ანგარიშით, რომელიც მზადდება და პარლამენტს წარედგინება 2021 წლის 1-ლ ივნისამდე. უწყება ასევე მიუთითებს, რომ პანდემიის შემაფერხებელი ფაქტორის გამო 2020 წელს ვერ განხორციელდა ARIS სისტემის სრული დანერგვა, რაზეც დამოკიდებულია ელექტრონული სისტემის მიერ მოტანილი სარგებელი.

როგორც უწყების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციით ირკვევა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული, "რეაგირების გარეშე" სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა ან კლება ამ ეტაპზე ვერ გაზომავს ელექტრონული

მონიტორინგის პრაქტიკის გაუმჯობესებას, რადგან ელექტრონული მექანიზმი ჯერ დანერგილი არ არის. ამოცანის ქვეშ 2020 წლის მეორე ნახევრისთვის განსაზღვრული აქტივობები მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულია. შესაბამისად, 2020 წლის პირველი ნახევრის მონიტორინგის შედეგები უცვლელი რჩება 2020 წლის ბოლოსთვის და **3.3 ამოცანა კვლავ ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

3.3. ამოცანის აქტივობების შესრულების შედეგები

საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის 3.3. ამოცანისთვის საანგარიშო პერიოდში ორი აქტივობაა გათვალისწინებული, რომელთა შესაფასებლად ორი ინდიკატორია განსაზღვრული. ინდიკატორების მიხედვით ერთი აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა, მეორე კი შეუსრულებელია.

აქტივობა 3.3.2.

სამოქმედო გეგმის 3.3.2 აქტივობა გულისხმობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის დანერგვას. სამოქმედო გეგმით აქტივობისთვის განსაზღვრული შედეგის ინდიკატორის მიხედვით აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულია.

აქტივობა 3.3.2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის დანერგვა

აქტივობის შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:
ყველა აუდიტის ობიექტი რეგისტრირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში

აქტივობის შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2020 წლიდან დაგეგმილი იყო აუდიტის ყველა ობიექტის ჩართვა ელექტრონულ სისტემაში, თუმცა, კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა სისტემის დანერგვის პროცესი და დისტანციური მუშაობის რეჟიმმა გაართულა კომუნიკაცია საჯარო უწყებებთან. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით დაიწყო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემის პილოტურ რეჟიმში დანერგვა. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების სამოქმედო გეგმები მომზადდა ARIS სისტემის საშუალებით. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციების მონიტორინგს 2021 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური განახორციელებს ელექტრონულად.

როგორც პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, საანგარიშო პერიოდში აქტივობის შესრულება შეფერხდა, მონიტორინგის ელექტრონული სისტემა კვლავ პილოტურ რეჟიმში მუშაობს და მისი სრულად დატვირთვა ჯერ არ მომხდარა. შესაბამისად **3.3.2 აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

აქტივობა 3.3.3.

სამოქმედო გეგმის 3.3.3. აქტივობა გულისხმობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას ვებპლატფორმაზე - ბიუჯეტის მონიტორი. სამოქმედო გეგმით აქტივობისთვის განსაზღვრული შედეგის ინდიკატორის მიხედვით აქტივობა შეუსრულებელია.

აქტივობა 3.3.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ვებ-პლატფორმაზე - ბიუჯეტის მონიტორი

აქტივობის შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ვებ-პლატფორმაზე - ბიუჯეტის მონიტორი

აქტივობის შესრულების სტატუსი: შეუსრულებელი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2020 წლის ბოლოს დასრულების ეტაპზე იყო პლატფორმა ბიუჯეტის მონიტორის ფუნქციონალური განახლების პროცესი, რის შედეგადაც პლატფორმას უნდა დამატებოდა ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამავდროულად, ბიუჯეტის მონიტორზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების წინაპირობას წარმოადგენს ARIS სისტემის სრულად დანერგვა.

როგორც პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, საანგარიშო პერიოდში აქტივობის შესრულება ვერ მოხდა, რადგან ვებპლატფორმა,

რომელზეც აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსებულიყო, დროულად ვერ დასრულდა. პლატ-ფორმის შექმნის სამუშაოები 3.3.2 აქტივობის (ელექტრონული სისტემის დანერგვა) ნაწილს წარმოადგენს და ვერ აისახება 3.3.3 აქტივობის შესრულების მაჩვენებელზე. შესაბამისად**, 3.3.3 აქტივობა შეუსრულებლად უნდა ჩაითვალოს.**

3.4. ამოცანის შესრულების შედეგები

სამოქმედო გეგმის 3.4 ამოცანა გულისხმობს საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ. ამოცანისთვის განსაზღვრულ ინდიკატორს კი წარმოადგენს სამინისტროების პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელ იმ საჯარო მოხელეთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ იცნობენ ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმას და მონაწილეობას იღებენ ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში.

ამოცანა 3.4. საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ

ამოცანის ინდიკატორ(ებ)ი: ცენტრალურ დონეზე სამინისტროების პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ იცნობენ ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმას და მონაწილეობას იღებენ ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში

საბაზისო 2018: 0

სამიზნე 2020: 51%

ამოცანის შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მი-ხედვით ღია მმართველობის შესახებ საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით შემუშავდა კომუნიკაციის სტრატეგია თანმხლებ სამოქმედო გეგმასთან ერთად, რომელიც ფარავს სამ სამიზნე აუდიტორიას. გარდა ამისა, შეიქმნა ღია

მმართველობა საქართველოს ვებგვერდი, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს გაწევრიანებიდან დღემდე მიმდინარე რეფორმების შესახებ. ამავე ინფორმაციის მიხედვით ვებგვერდზე უნდა ჩაშენდეს მონიტორინგის ფუნქციონალი, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს, ონლაინ რეჟიმში მიადევნონ თვალი ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმების განხორციელებას და გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. მთავრობის ადმინისტრაცია მიუთითებს, რომ საანგარიშო პერიოდში შექმნილმა სიტუაციამ შეაფერხა ღია მმართველობა საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რის გამოც, ამოცანის შედეგის ინდიკატორის საჯარო მმართველობის სამოქმედო გეგმაში მოცემული ფორმულირებით გაზომვა არ არის შესაძლებელი და სანაცვლოდ სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება, გაზომოს მოხელეთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ იცნობენ ღია მმართველობა საქართველოს პროცესს და ღია მმართველობა საქართველოს 2021-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში ისურვებდნენ მონაწილეობის მიღებას. ამოცანის შედეგის ახალი ინდიკატორის გაზომვის მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა 11 სამინისტროს პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიზის სტრუქტურულ ერთეულებში. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა:

- 80% აცხადებს, რომ სმენია ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ,
- 77% იცნობს და იღებს ინფორმაციას OGP-ში საქართველოს წევრობის შესახებ,
- 97% გამოთქვამს სურვილს მონაწილეობა მიიღოს OGP საქართველოს 2021-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში.

IDFI-ს მონიტორინგის ჯგუფი მიესალმება სამდივნოს მიერ საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა, აღნიშნული აქტივობები არ არის საკმარისი რაიმე მნიშვნელოვანი გავლენის მოსახდენად. კერძოდ, მთავრობის ადმინისტრაციის მიერ დოკუმენტების და ვებგვერდის შემუშავება მათი საჯარო მოხელეებისთვის გაცნობის და პოპულარიზაციის გარეშე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებად ვერ ჩაითვლება. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფი არ ეთანხმება სამდივნოს მიერ ინდიკატორის ცვლილებას, რაც მთავრობის მიერ OGP სამოქმედო გეგმის მიუღებლობითაა გამოწვეული. ახალი ინდიკატორი ამოცანის მნიშვნელობას აკნინებს, როდესაც იმის ნაცვლად, რომ გაზომოს საჯარო მოხელეების წილი, რომლებიც OGP სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ, ზომავს იმ საჯარო მოხელეების წილს, რომლებიც OGP სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას ისურვებდნენ. განხორციელებული კვლევის შედეგები სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორის ნაწილობრივ შესრულებაზე მიუთითებს, რადგან გაიზომა იმ თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებსაც სმენიათ და იცნობენ OGP-ს. რაც შეეხება, OGP-ს ახალ სამოქმედო გეგმაში მონაწილეთა რაოდენობას,

რადგან გეგმა არ შემუშავებულა, შესაბამისად ეს ინდიკატორი შეუსრულებელია. შესაბამისად, **3.4. ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

3.4. ამოცანის აქტივობის შესრულების შედეგები

საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის 3.4 ამოცანა საანგარიშო პერიოდისთვის ერთ აქტივობას ითვალისწინებს, რომლის შესაფასებლად ორი ინდიკატორია განსაზღვრული. აქედან ერთი ინდიკატორი ითვალისწინებდა აქტივობის 2019 წელს, მეორე კი 2020 წლის ბოლოს შეფასებას, აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულია.

აქტივობა 3.4.1.

სამოქმედო გეგმის 3.4.1 აქტივობა გულისხმობდა ღია მმართველობის შესახებ ცენტრალურ დონეზე საზოგადოების, მათ შორის, საჯარო მოხელეთა, ცნობიერების ამაღლებას.

აქტივობა 3.4.1. ღია მმართველობის შესახებ ცენტრალურ დონეზე საზოგადოების, მათ შორის, საჯარო მოხელეთა, ცნობიერების ამაღლება

აქტივობის შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:
ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება მიმდინარეობს

აქტივობის შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

როგორც უკვე აღინიშნა, 3.4.1.1 ინდიკატორი აქტივობის შესრულების შეფასებას 2019 წლისთვის ითვალისწინებდა. IDFI-ს მონიტორინგის შედეგების მიხედვით აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით 2019 წელს 3.4.1 აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად იქნა მიჩნეული. რაც შეეხება მეორე ინდიკატორს, მთავრობის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ღია მმართველობა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება OGP საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის აღდგენის პარალელურად დაიწყება.

წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ 3.4.1.2 ინდიკატორის შესრულებისთვის საჭირო სამუშაოები საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა შესაბამისად, აქტივობის სტატუსი უცვლელი რჩება და **3.4.1 აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.**

3.5. ამოცანის შესრულების შედეგები

სამოქმედო გეგმის 3.5 ამოცანა გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესებას და პრაქტიკაში მისი თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველყოფას. ამოცანისთვის განსაზღვრულ ინდიკატორს კი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საჯარო დაწესებულებების (სამინისტროების ცენტრალური აპარატები და სსიპ-ები) მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი.

ამოცანა 3.5. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით და მისი თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში

ამოცანის ინდიკატორ(ებ)ი: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საჯარო დაწესებულებების (სამინისტროების ცენტრალური აპარატები და სსიპ-ები) მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი

საბაზისო 2018: 15%

სამიზნე 2020: 10%

ამოცანის შესრულების სტატუსი: შეუსრულებელი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას 2020 წლის პირველი ექვსი თვის მდგომარეობით ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო 2020 წლის ბოლოსთვის მიუთითებს, რომ ამოცანის შედეგის გაზომვა ვერ ხერხდება, რადგან ამოცანით გათვალისწინებული აქტივობები არ შესრულებულა.

რამდენადაც 3.5 ამოცანის საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი, რაც მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით არ განხორციელებულა, ლოგიკურია, რომ 2020 წლის ბოლოსთვის სამიზნე მაჩვენებელი მიღწეული ვერ იქნებოდა. შესაბამისად **3.5. ამოცანა შეუსრულებლად უნდა ჩაითვალოს.**

3.5. ამოცანის აქტივობის შესრულების შედეგები

საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის 3.5 ამოცანა საანგარიშო პერიოდისთვის ერთ აქტივობას ითვალისწინებს, რომლის შესაფასებლად ერთი ინდიკატორია განსაზღვრული. ინდიკატორის მიხედვით აქტივობა შეუსრულებელია.

აქტივობა 3.5.3.

სამოქმედო გეგმის 3.5.3 აქტივობა გულისხმობდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებას.

აქტივობა 3.5.3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლება

აქტივობის შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:
საჯარო დაწესებულებებში (სამინისტროების ცენტრალური აპარატი, სსიპ-ები) ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირებს ჩაუტარდათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები მარეგულირებელი ნორმების შესახებ

აქტივობის შესრულების სტატუსი: შეუსრულებელი

მთავრობის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით აღნიშნული აქტივობის შესრულება დამოკიდებულია "ინფორმაციის თავისუფლების შესახებ" კანონის პროექტის ძალაში შესვლაზე, ვინაიდან ითვალისწინებს ახალი მარეგულირებელი ნორმების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების გადამზადებას.

წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ "ინფორმაციის თავისუფლების შესახებ" კანონის მიღების შესახებ აქტივობის შეუსრულებლობის გამო ვერ განხორციელდა 3.5.3 აქტივობა. შესაბამისად 3.5.3 **აქტივობა შეუსრულებლად უნდა ჩაითვალოს.**

4. შეჯამება და რეკომენდაციები

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019 – 2020 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშვალდებულების მიმართულებით მოცემული ამოცანები და ინდიკატორები კვლავ საჭიროებს დახვეწას S.M.A.R.T. კრიტერიუმების შესაბამისად. გარდა ამისა, ამოცანების რეალურად მისაღწევად აუცილებელია, მეტი აქტივობის განსაზღვრა და მათი შესრულებისთვის რეალური ძალისხმევის გაწევა.

სამოქმედო გეგმის ანგარიშვალდებულების მიმართულებით გათვალისწინებული ამოცანების და აქტივობების უმრავლესობა შეუსრულებელია, ხშირ შემთხვევაში კი მონიტორინგი გართულებულია შესაბამისი მონაცემების არარსებობის გამო, რაც გამოწვეულია იმით, რომ პასუხისმგებელი უწყებები დროულად არ ამუშავებენ საჭირო მონაცემებს და სერიოზულად არ უდგებიან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.

იდენტიფიცირებული ხარვეზებისა და გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს:

- სამოქმედო გეგმის ანგარიშვალდებულების მიმართულებაში S.M.A.R.T. ამოცანებისა და ინდიკატორების გათვალისწინება;
- ანგარიშვალდებულების მიმართულებით მოცემული ამოცანების რეალურად მისაღწევად საჭირო მაჩვენებლებისა და ინდიკატორების განსაზღვრა;
- პასუხისმგებელ უწყებებთან კოორდინაციის, ზედამხედველობის გაუმჯობესება და საჯარო მმართველობის რეფორმის საკითხის მნიშვნელობის ხაზგასმა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ხელშეწყობისთვის.

ტ. შევჩენკოს ქ. №20, 0180 თბილისი
+995 32 292 15 14
INFO@IDFI.GE
WWW.IDFI.GE